## მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 10

ქ.თბილისი 18 ივნისი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოროზმანის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის - ისლამ მამედოვის სახით და მეორეს მხრივ, შპს „იუ-ჯი-თი“ , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის - ერმილე სულაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია კომპიუტერული მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება და შეკეთება (CPV: 50312000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

### მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 296,60 (ორას ოთხმოცდაექვსი ლარი და 60 თეთრი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

### მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. თბილისი

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

### მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

**მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოროზმანის საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

**მუხლი 7. პირგასამტეხლო**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით,

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

**მუხლი 8. ფორსმაჟორი**

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი**

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმეტებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

**მუხლი 12. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება

მხარეებთან.

## მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

**შემსყიდველი:**

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ოროზმანის საჯარო სკოლა
ს/კ 228927436
მის. : დმანისი, სოფელი ქვემო ოროზმანი
ტელ: 551 08 30 13
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,, ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ა GE22LB0121145394218000

**დირექტორი**
**ისლამ მამედოვი**
---
(ხელმოწერა) მ.ა.

**მიმწოდებელი:**

შპს „იუ- ჯი- თი"
ს/კ 204892964
მის.: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ №17ა
ტელ.: 2 22 05 05

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE88BG0000000261644601

**დირექტორი**
**ერმილე სულაძე**
---
(ხელმოწერა)

# მიღება - ჩაბარების აქტი

| | |
|---|---|
| თარიღი: | 07/02/2018 |
| No | CAS-24315-X9K8 |

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტით სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ ქვემო ოროზმანის საჯარო სკოლა (ისლამ მამედოვი) (შემდგომში კლიენტი) ადასტურებს, რომ შპს იუ–ჯი–თის სერვის–ცენტრმა (შემდგომში სერვის–ცენტრი) კლიენტს დაუბრუნა მასზე ჩაბარებული ტექნიკა, რომელზეც გადაჭრილია ქვემოთ აღწერილი პრობლემა:

## ინფორმაცია ტექნიკის შესახებ

**მწარმოებელი:** **ACER**

**კლასიფიკაცია:** **PSG**

**მოდელი:** **ex2540**

**სერიული ნომერი:** **NXEFGER015711071CC3400**

**ჩაბარებულ ტექნიკაზე გადაჭრილი პრობლემის აღწერა:**

*გამოიცვალა ეკრანი*

ამ ხელმოწერით ვადასტურებ, რომ სერვის–ცენტრიდან გატანის დროს, ჩაბარებული ტექნიკა შევამოწმე და ზემოთ აღნიშნული პრობლემა ნამდვილად გადაჭრილია. ასევე შევამოწმე და ვადასტურებ, რომ ტექნიკას კომპონენტების (დეტალების, ნაწილების) დანაკლისი არ აღენიშნება.

UGT SERVICE CENTRE

**კლიენტი:**

**პირადი № 15001000174 საიდენტიფიკაციო № 228927436**

**ტელეფონი: 551 08 30 13**

**ელ–ფოსტა: islammamedov@yahoo.com**

**„იუ–ჯი–თის" სერვის ცენტრი:**

კორექტირების თარიღი: 02/07/2018 12:17:14

| | | |
|---|---|---|
| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0387242740 |

| | |
|---|---|
| 2 | 02/07/2018 |

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| | |
|---|---|
| 3 | 12:17:05 |

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| | | |
|---|---|---|
| 4 | შპს იუ-ჯი-თი | 204892964 |

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 5 | საჯარო სამართლის იურიდიული პირი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ორორზმანის საჯარო სკოლა | 228927436 |

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |

| | |
|---|---|
| 7 | ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #17 ა |

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| | |
|---|---|
| 8 | დმანისის რაიონი, სოფ. ქვემო ორორზმანი |

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| | |
|---|---|
| 9 | საზოგადოებრივი ტრანსპორტი |

ტრანსპორტირების სახე

| | |
|---|---|
| 10 | X |

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| | | |
|---|---|---|
| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |

| | |
|---|---|
| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | KL.1560D.021 LCD PANEL.15.6"WXGA.NGL.CR | I29212 | ცალი | 1.0000 | 296.6000 | 296.6000 |

| | |
|---|---|
| 13 | 296.6 - ორას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცი თეთრი |

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| | |
|---|---|
| 14 | |

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 15 | |

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 16 | |

ხელმოწერა

| | |
|---|---|
| 17 | |

ხელმოწერა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | | |

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

| | |
|---|---|
| 19 | მიაქვს მინდობილ პირს 15001000174 ისლამ მამედოვი |

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 03/07/2018, 16:35:07